№ 30 თებერვალი 9, ხუთშაბათი — 1889 — თებერვალი 9, ხუთშაბათი № 30


გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სა-პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889



## „ივერია"

გამოვა 1889 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1889 წლისათვის, მიჰმართოს:

**ტფილისში:** ა) თვითონ რედაქციას, ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5; ბ) „წერა-კითხვის საზოგადოების" კანცელარიას (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში).

**ქუთაისში:** ვარლამ ქილაძის წიგნის მაღაზიას.

**ხონში:** ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

**ბათუმში:** მ. ნათაძეს.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".**

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.



ქართული თეატრი

ქვირას, 12 თებერვალს

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

ახალი პიესა პირველად:

I

**ჭკუა თავში და თავი?**

კომედია 3 მოქ. ლაბიშისა, ფრანგულიდამ გადმოკეთებული კნ. ან. თუმანიშვილის მიერ.

II

ახირებულია

ვოდევილი 1 მოქმედ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი $7^1/_2$ საათზე.


ტფილისი, 8 თებერვალი

აზიის ქვეყნები დაქვეითებულ ქვეყნებად მიაჩნიათ როგორც სწავლა-განათლებაში, ისე საზოგადო და საპოლიტიკო ცხოვრებაში. ეს აზრი დღეს დიაღაც სამართლიანია. ოდესმე აზია იყო ბუდე სწავლა-მეცნიერებისა და განათლება აქედგან თანდათან მიიწევდა ევროპისაკენ. მაგრამ აზიის ბედი უკუღმა დატრიალდა და ეს ამოდენა ქვეყანა იძულებული შეიქმნა პირველობა სხვებისათვის დაეთმო. თვით აზია ამასობაში სრულიად მიყუჩდა და მიიძინა და დღეს აზიას ისეთი განსაკუთრებული ბეჭედი აძევს, რომ იმასა და ევროპას შუა დიდი სხვა-და-სხვაობაა. ამ გვარს ყოფაშია ამ ჟამად აზია, მაგრამ როცა იქნება ამ ყოფასაც ბოლო მოეღება და დიდის ხნის დაქვეითებულსა და უკან-ჩამორჩომილს ქვეყნებს ევროპის სწავლა-მეცნიერება და განათლება მოეფინება. ამ უკანასკნელს ხანებში ევროპის განათლება თანდათან ფეხს იდგამს აზიაში და სრული იმედია, რომ იგი აზიის ერთ გამოაღვიძებს. ამისი მაგალითი იაპონიაა.

ეს ქვეყანა ამ ოცდაოთხ-ოციოდე წლის წინად იმდენად დაშორებული იყო ევროპაზე, ისეთს კანონებს ქვეშ იმყოფებოდა, რომ არამც თუ ევროპის სწავლა-მეცნიერება ბოგინობდა იქ, არამედ ევროპელი კაციც ვერ შესდგამდა ფეხს. ერთის სიტყვით, იაპონია ისეთის კედლით იყო შემოზღუდული, რომ ევროპელებმა და ამერიკელებმა დიდი მეცადინეობა იხმარეს, რათა ეს კედელი გაერღვიათ. მართალია, ამ გარემოებამ დიდი შფოთი და არეულობა გამოიწვია თვით იაპონიაში, რომლის მკვიდრთა ეუცხოებოდათ ყოველივე უცხო და უცნობი, მაგრამ დღეს-კი, სულ ოცდაოციოდე წლის შემდეგ, იაპონიის ერი და მართებლობა თითონვე ცდილობს ევროპას დაუახლოვდეს და რაც ევროპაში კარგი, სასიკეთო რამ ეგულება, საკუთარს ნიადაგზე გადაიტანოს და დანერგოს. ამ ცდამ დიდი ხეირი მოიტანა იაპონიის მართებლობისაგან. ამ ოც-და-ხუთ-ოც-და-ათის წლის განმავლობაში მართებლობამ ევროპელების შემწეობითა და ხელმძღვანელობით დააარსა მრავალი სხვა-და-სხვა სკოლა და ამ ჟამად იაპონიას იმდენი განათლებული, სწავლული კაცი ჰყავს, რომ საკუთარის ძალ-ღონით გამოდის. ექიმი, მასწავლებელი, ინჟენერები და სხვანი სულ საკუთარი ჰყავს და ევროპელების შემწეობა და დახმარება არ ეჭირვება. იმავე ხნის განმავლობაში იაპონია დიდ-ძალს ახალგაზდობას გზავნიდა და ეხლაც ჰგზავნის ევროპის სხვა-და-სხვ ქვეყნებში, სადაც ეს ახალგაზდობა ითვისებს მეცნიერებასა და სწავლაცოდნით აღჭურვილი თავისს სამშობლოში ბრუნდება.

ასე და ამ გვარად იაპონიამ გაუღო დიდის ხნის დახშული კარები სწავლა-მეცნიერებას და თითონაც გზა გაუკვლია ევროპისაკენ და ეს იმისი საბუთია, რომ იაპონია მეთაურობს და მეთაურობას დაიმკვიდრებს მთელს აზიაში.

იაპონიის მართებლობა არა მარტო სწავლა-განათლებისა და ვაჭრობისათვის ჰზრუნავდა, არამედ ისიც კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ იაპონიას ახალი პოლიტიკური წეს-წყობილება ეჭირვებოდა. მართებლობა დარწმუნდა, რომ ძველადგანვე დამკვიდრებული წესწყობილება ხელს ვერ მოუმართავს ერის კეთილდღეობას, წარმატებას და ამიტომ განიზრახა თავისს ერს მიანიჭოს ახალი წესწყობილება და ამით ცხოველი სული ჩაუდგას. ამ განზრახვით მართებლობამ გაჰგზავნა კაცები ევროპაში და დაავალა მათ ევროპულის კონსტიტუციების შესწავლა და გარკვევა. ეს საქმეც შესრულებული იქმნა და დავალებულმა კაცებმა თავიანთ სამშობლოსათვის საუკეთესოდ სცნეს გერმანიის კონსტიტუცია და ამ წლის იანვრის 30-ს იაპონიის იმპერატორმა ქ. ტოკიოში გამოაცხადა და დაუმკვიდრა ერს კონსტიტუცია და ამითი თავისი საბრძანებელი ევროპის წრეში მოაქცია...

ა. ს—ი

## ფელეტონი

### ისტორიული მიმოხილვა

II

ჩვენის წარმართობისა და ქრისტიანობის დროინდელ ისტორიის შორის არას დროს არ შეწყვეტილა კავშირი, ასე რომ მთელი 2,000—3,000 წლოვანი ისტორია ქართველთა ერთი განუწყვეტელი გრეხილია.

თქმულის საბუთად მოგვყავს ის გარემოება, რომ უკანასკნელ დროსაც არის იგივ საპოლიტიკო და საეკკლესიო იერარქია, როგორათაც უწინარეს დროში იყო, ხოლო იმ განსხვავებით-კი, რომ წინანდელი რამდენსამე სამთავროებად დაყოფილი ქვეყანა ბოლოს ერთდება, წინანდელი წვრილი სამთავროები (კოლხიდა, ლაზიკა, პონტი, სვანეთი და ალბანია) უქმდება, ანუ, უკეთ ვსთქვათ, უერთდება ივერიას. დეცენტრალიზაცია მთავრობისა და ქვეყნის მოურნეობისა თანდათან ისპობა და გაერთიანებულს საქართველოში მყარდება უზენაესი სახელმწიფო უფლება. წინანდელს სამთავროებში, მაგიერ მეფემთავრებისა, ქვეყნის მმართველებად საქართველოს მეფისაგან ინიშნებიან მხოლოდ ერისთავები.

სარწმუნოებრივის მხრით საქართველოს გაერთიანება მოჰყვა ქრისტიანობის მიღების მომდევნო პირველ საუკუნოებს, ხოლო პოლიტიკური გაერთიანება-კი დაგვირგვინდა ბაგრატ მეფის დროსვე (1027—1072). ამ დროს ქართველი ხელმწიფე უკვე იწოდებოდა მეფედ აფხაზთა, ქართველთა, რანთა [1]) კახთა და ყოვლისა აღმოსავლეთისა[2]). შემდეგში-კი (მე-XII საუკ.) საზღვარი საქართველოისა შეიქმნა კასპიის ზღვა, კავკასიონის მწვერვალი, შავი ზღვა, არეზის მდინარე და მის სათავიდგან გავლებული ხაზი შავზღვამდე (გონიისა და ტრაპიზუნტის შუა).

უძველეს დროში იმ ადგილს, საცა ეხლა მოსახლეობენ ქართველნი, ბერძენ-რომაელთა მწერალნი იხსენიებენ რამდენსამე სამთავროსა და სამეფოს. (Извѣст. древн. греч. и римс. писат. о Кавказѣ, განისა). იგი მწერალნი და აგრეთვე წინასწარმეტყველი მოსე მოიხსენებენ თუბალს, მოსხს, კოლხს, სუანს და სხვათა, რომელნიც, ახალის გამოკვლევით, არიან ქართველთა მოდგმისანი. ეს სამთავრო-სამეფოები ჭირ-ბოროტის დროს ერთად ებრძვიან მტერს, ერთად იხსენიებიან ყოველთვის, როდესაც მძლავრი მტერი შემოესევა ქვეყანას.

ასურეთში ნაპოვნი ქვის წარწერა (მე-XI საუკ. ქრ. წინ.) გადმოგვცემს შემდეგს საყურადღებო ცნობას:

„თეგლატფალასარმა პირველსავე წელს თვისის მეფობისა დაიმორჩილა მოსხნი ხუთითავე მეფეებითა, რომელნიც წინ უძღოდნენ თავისს ერს საშველად კოსმოყვნთა, რომელნიც ასურეთის მორჩილებიდამ გამოვიდნენ" (ისტ. ასურეთისა, გვ. 260, ლენორმანისა).

ოფიციალური წარწერა ერთს ძეგლზე გვიჩვენებს, რომ ფინიკიელთა მეფეს თეგლატფალასარ II-ს დაუმორჩილებია მრავალი ერი და 731 წელს ქრ. უწინარეს მათი მეფეები (სულ 23-ი) მიუწვევია ნინევიას და ხარკის მიტანაც დაუვალებია. ამ მეფეთა შორის ძეგლი მოიხსენიებს კოლხიდის მეფეს დადილს და ვასსამ ტიბარენელს (ისტ. ფინიკიისა, გვ. 504, ლენორმანისა).

ბერძენთა ლეგენდა (მე-XII საუკ. ქრ. წ.) ასახელებს კოლხიდის მეფეს აიეტს, აღწერს იმის სასახლეს და სხვ. ამასვე მოგვითხრობს ჰომიროსი (900 წ. ქრ. წ.), მიმნერმი (630—600), პინდარი და სხ. 545 წ. კიროსმა დაიპყრო კოლხიდა და ქალიბნი. დარიოსმა (514—510) დაიმორჩილა მრავალი ქვეყნები და თავისი სამეფო გაანაწილა სატრაპიებად. მათ შორის ივერია და ალბანია შეადგენდა მე-18 სატრაპიას და მოსხნი, ტიბარენნი, მაკრონნი, მოზინეკნი მე-19 საუკ., რომელნიც საერთოდ იხდიდნენ 500 ტალანტს ხარკს ყოველ წლივ (ისტ. სპარ. მიდიისა, გვ. 259, ლენორმანისა). ჰეროდოტი (480—426) ამბობს: „კოლხთა მეფემ საბერძნეთს გაგზავნა მოციქულებიო".

იმავე უცხოელ მწერლების ნაამბობს რომ შევუდგეთ, დავინახავთ, თუ როგორ თანდათან უძლურდებიან ცალ-ცალკე სამთავრონი და როგორ იზრდება და ძლიერდება ივერია, ესე იგი ის შუა-გული საქართველოისა, რომელიც, მათსავე თქმით, შემოიზღუდება მდ. არეზით, ცივ-გომბორისა და კავკასიონის მწვერვალით და მოსხის მთებით. ეს სიძლიერე ივერიისა პირველსავე საუკ. ქრ. შემდეგ იმ ზომამდე აღმატებული იყო, რომ, როგორც გადმოგვცემს ქვაზედ დაშთენილი ძეგლი 75 წლ., მსოფლიო მფლობელის რომის იმპერატორისათვისაც-კი სასიქადულო შეიქმნა მეგობრობა ივერთ მეფის მიტრიდატისა.

საკვირველიც არ არის. ივერია ძლიერი სახელმწიფო იყო. დიდ-ძალი მხედრობა გამოჰყავდა საომრად. ძლიერი ციხეები და ქალაქები ჰქონდა. მის მეგობრობასა და მტრობაზედ იყო დამოკიდებული სიმშვიდე რომის აღმოსავლეთის საზღვრებისა, ანუ ღელვა და განდგომა მათი. ივერია იყო იგეთი სიმაგრე, იგეთი კარი, რომლის გაღება მოასწავებდა ჩრდილოეთის ველურების შესევას რომის მცირე-

[1]) წარწერა ნიკორწმინდის ტაძრისა იმერეთში: „ძეო ღვთისაო, ადიდე სიმრთელით და დღეგრძელობით შენ მიერ გვირგვინოსანი ბაგრატ აფხაზთა და რანთა მეფე და ქართველთა კურატპალატი"...

[2]) კაცხის მონასტრისა: „წმ. სამებაო, ადიდე შენ მიერ დამყარებული ბაგრატ მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა და ყოვლისა აღმოსავლეთისა დიდი კურატპალატი".

## ახალი ამბავი

*** ერთს დროს დიდი ლაპარაკი იყო ატეხილი ჩვენს საზოგადოებაში და აქაურმა გაზეთებმაც ყური ათხოვეს თ. ანდრონიკაშვილებისა და ბ-ნთ თამამშოვისა და თულაშვილის სადავო საქმეზედ. ამ საქმის თაობაზედ შესდგა აქაურს სასამართლოში ორი საჩივარი თ. ანდრონიკაშვილების ვექილის თ. სვიმონ წერეთლისაგან. ერთის საჩივარით თ. ანდრონიკაშვილები ედავებოდნენ ბ-ნს თამამშოვს იჯარის ფულს სამის წლისას რიცხვით 22,500 მ. და გარდა ამისა 14,000 მანეთსა ჯარიმას იჯარის ხელ-შეკრულობის დარღვევისათვის. მეორე საჩივარი ხსენებულმა ნაფიცმა ვექილმა თ. სვიმონ წერეთელმა შეიტანა სასამართლოში სასამართლოს ბოქაულზედ, რომელმაც აღწერა გასასყიდად თ. ანდრონიკაშვილების მამული დასაკმაყოფილებლად ბ-ნთ თამამშოვისა

აზიის სამფლობელოებში. ამას გარდა იმავე მეგობრობის წყალობით სწარმოებდა რომის აღმოსავლეთის მხრის ვაჭრობა, აღებ-მიცემა, რომელიც, როგორც ქვემოდ დავინახავთ, ფრიად გაძლიერებულ იყო რიონ-მტკვრის სავაჭრო გზის შემწეობით, ამიტომაც რომის იმპერატორები შემთხვევას არა ჰკარგავდნენ, რომ როგორმე და რითიმე ესიამოვნებინათ ივერთ მეფეთათვის.

ელი სპარტიანი ადრიანეს ცხოვრების აღწერაში ამბობს, რომ იმპერატორი ადრიანე (მესამე საუკ. ქრ. შემდეგ) იმისთანასა და იმდენს საჩუქრებს არავის უძღვნიდა, როგორსაც და რამდენსაც ივერთ მეფეს, რომელსაც აუარებელ და ძვირფას საჩუქართა შორის გაუგზავნა აგრეთვე სპილო და მეფის მცველებად 500 კაციო. დიონ კასსი მოგვითხრობს, რომ 138 წ. ქ. შ. ივერთა მეფე ფარსმანი მეუღლითურთ მობძანდა რომს და დიდის დიდებით მიღებულ იქმნა ამ ქალაქშიო. იმპერატორმა მას სხვა მიწებიც (ქვეყნებიც) აჩუქა და ნებაც მისცა, რომ კაპიტოლიაში მსხვერპლი შეეწირაო. ფარსმანს ბელლონის ტაძარში ანდალმა (სტატუა) დაუდგეს 138 წელსაო.

ბერძენ-რომაელთა [3]) მწერლების თქმით არც ერთი სხვა სამთავროსამეფო, საცა მოსახლეობდნენ ქართ-

[3]) Изв. древн. греч. и римск. писат. о Кавказѣ, განისა.

და თულაშვილისა, რომელთაც იმმამულზედ გირავნობის ქაღალდი ჰქონდათ. აქაურმა ოლქის სასამართლომ და პალატამ არც ერთი საჩივარი თ. ანდრონიკაშვილების ვექილისა არ შეიწყნარა და უარი უთხრა. თ. ანდრონიკაშვილების ვექილმა კასსაცია გადიტანა სენატში. ეხლა ნამდვილი ცნობა მოვიდა, რომ სენატს შეუწყნარებია თ. სვიმონ წერეთლის ორივე საჩივარი, აქაურ სასამართლოების ორივე განაჩენი გაუუქმებია და დაუვალებია ხელ-ახლად გარჩევა.

*** გუშინ-წინ, 7 თებერვალს, ქართულის დრამატიულის საზოგადოების მიერ წარმოდგენილი იყო ჩვენის სცენის ნიჭიერის არტისტის ქალის ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის საბენეფისოდ „ხანუმა“ და დივერტისმენტში აბაშიძემ წაიკითხა კუპლეტები, თვით მობენეფისემ რამდენიმე ქართული ხმა იმღერა მშვენივრად და დასასრულ ქ-ნმა ჩერქეზიშვილისამა და ბ მა აწყურელმა ლეკური ითამაშეს. წარმოდგენას საკმაო ხალხი დაესწრო. მობენეფისეს მიართვეს დაფნის გვირგვინი, ვერცხლის თასი, ამას გარდა სოფ. ახალქალაქიდამ, სადაც მობენეფისეს საქველ-მოქმედოდ დანიშნულს წარმოდგენაში არა ერთხელ მიუღია მონაწილეობა, მოართვეს თავის პატივცემის გამოსახადებლად ძვირფასი „ვეფხის-ტყაოსანი“ და ტფილისის რკინის გზის სადგურის მოხელეთ—ბრილიანტის ბეჭედი.

*** რუსეთის საარხეოლოგიო საზოგადოების წერილების მესამე ტომში დაბეჭდილია ბ-ნ ნ. მარრის წერილი „სიბრძნე ბალავარის“ შესახებ. ამ წერილის შინაარს მკითხველებს ამ ახლო ხანში ვუამბობთ.

*** როგორც გვესმის, კავკავის ახალ გამართულ ქართველთა სკოლაში ოც-და-ათამდე ყმაწვილი სწავლობს. ამ ჟამად მომეტებული ნაწილი უფრო მოხევეების ყმაწვილებია, რომელნიც დღევანდლამდე საცოდავად უგზო-უკვლოდ დაეხეტებოდნენ და უსაქმობით, უსწავლელობით ფუჭდებოდნენ. სკოლის გამართვით დიდი სამადლობელი საქმე მოიქმედა როგორც თვით კავკავის ქართველმა საზოგადოებამ, აგრეთვე „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“, რომ ამოდენა ყმაწვილი დაიხსნა სრულიად დაცემისა და წახდენისაგან. კავკავში ქართველობა სამასზე მეტი კომლი ითვლება, ამათში ასზე მეტი მოხევეები არიან, რომელნიც ხევიდამ გადმოსულან სიღარიბისა გამო ლუკმა პურის საშოვნელადა და დღიურად მუშაობენ. მოხევეების წვრილფეხობა სულ თავ-მინებებული ეგდო ქუჩაში და უკეთესის ბედის იმედი არა ჰქონდათ. რაიცა შეეხება სკოლის მოწყობასა და მდგომარეობას, სასიამოვნო ამბები ისმის.

*** ქუთაისში აპირებენ მასკარადი გაჰმართონ იქაურ სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ მომავალს სამშაბათს, 14 თებერვალს, კლუბის დარბაზში. იმედია, რომ ქუთაისის საზოგადოება ჩვეულებრივის თანაგრძნობით მოეკიდება საქმეს და ბლომად დაესწრება ამ საქველ-მოქმედო მასკარადს.

*** ამ უკანასკნელს წლებში, როგორც „ივერიის“ მკითხველებმა იციან, ევროპელები მომეტებულის ყურადღებით თვალს ადევნებენ საქართველოს ცხოვრებას, ისტორიას და ქართულს მწერლობასა. ბერლინში გამოდის გერმანულს ენაზედ საუცხოვო და ყოველ მეაღმოსავლეთე (ორიენტალისტი) მსწავლულისათვის სასარგებლო სახმარი ჟურნალი სახელად ‹Orientalische Bibliographie, herausq. von Dr. A. Muller, proft. in Köngsberg“. ამ წლის პირველს რვეულში (II Jahgung, band II. Drittes. Heft. Berlin. 1889, 8°) მოქცეულია სხვათა შორის სია ახალ ქართულ გამოცემათა. ეს სია შედგენილია პეტერბურგის აკადემიკოსის ზალემანისაგან. მოხსენებულია სიაში სულ 24 ნომერი ქართული წიგნი, რომელიც წარსულის წლის უკანასკნელს თვეებში გამოვიდა. ქართული სათაურები ლათინურის ასოებით არის გამოსახული და არა ქართულით და ნათარგმნი-კია გერმანულად. წინად განსვენებული აკადემიკოსი ბროსსე გერმანულს ჟურნალებში ბიბლიოგრაფიულს ცნობებს ჰბეჭდავდა ქართულ ახალ გამოსულ წიგნებზე.

*** პეტერბურგის საიმპერატორო საზოგადო ბიბლიოთეკას ამ ახლო ხანებში შეუძენია ორი ქართული ხუცური ხელთ-ნაწერი წიგნი. ეს წიგნები „კურთხევანის“ სხვა-და-სხვა ნაწილებისაგან არის შემდგარი და ძალიან ძველი ნაწერიც არის. ერთს მათგანში ოციოდე გვერდია ჩაკერილი სხვა ხელთ-ნაწერიდგან, რომელიც, როგორცა სჩანს ზედ-მიწერილის სიტყვებიდგან ვიღაცა აბაშიძეს სხვა ნივთებთან ერთად შეუწირავს გარეჯის მონასტრისათვის და ვიღაცა ნიკოლოოზ დიდიას მიჰქონებია მოხსენებულ მონასტერში. წარწერა დიდიასია. დიდია იხვეწება, იქნება სიკვდილმა უდროვოდ გამომასალმოს წუთი-სოფელსა და ეს წიგნი და ნივთები კუთვნილებისამებრ ჩააბარეთ გარეჯის ძმათაო. სჩანს ამ წიგნებისა და ნივთების ბედი სხვა რიგად დატრიალებულა.

*** ამ ათის თხუთმეტის წლის წინად ჩრდილოეთ ოსეთში, სოფელ ალაგირში, რაჭიდამ გადასახლდა ასიოდე კომლი. აიშენეს სახლები, ბაღები და კარ-მიდამო. ყოველისფრით კარგს ყოფას მოელოდნენ, მაგრამ უცხოობაში ვერ გაისაძლისეს. გარს სულ ოსები ეხვიათ, მეზობლობას ვერ მოეწყვნენ, სასამართლოებში საქმისათვის ყოველ გვარ მოუხერხებლობას ჰხედავდნენ, რადგანაც ქართულის ენის მცოდნეს ვერა შოულობდნენ. ამის გამო, როგორც ეხლა შევიტყეთ, სულ აყრილან და ისევ რაჭაში დაბრუნებულან. ამ ჟამად ალაგირში რაჭველი აღარავინ არის.

*** ორშაბათს, 6 თებერვალს, ვერაზე, საცა სომხების სასაფლაოა, გაუქმებულ ქურახანაში იპოვეს მოკლული ახალგაზდა ქართველი კაცი. დილით ადრე ბავშვები თურმე თამაშობდნენ ქურახანის ახლო და შეამჩნიეს, რომ რაღაცა გდია ქურახანაში, ზემოდამ ტყავ-წაფარებული. ხალხი მოგროვდა და აღმოჩნდა, რომ ვიღაც ბოროტ-მომქმედს საშინლად დაუჩეხია ხანჯლით თავისი მსხვერპლი, გაუცარცვავს და მოკლულისათვის ზემოდამ მისივე ტყავი გადაუფარებია. ავაზაკს ხანჯლით გაუპია მუცელი, ისე რომ ნაწლევები გადმოუყრევინებია, დაუჭრია მაჯაში, თავ-ყბაში და ერთი თვალიც გამოუთხრია. მოკლულს, როგორც ბოლოს აღმოჩნდა, რტყმოდა ათ თუმნიანი ქამარი და თანა ჰქონდა ფულიცა. ერთიცა და მეორეც ავაზაკს წაუღია. ხალხმა დიდხანს ვერ იცნო მოკლული. ბოლოს, პოლიციის შემწეობით, აღმოჩნდა, რომ მოკლული დახლიდრად ყოფილა ამას წინად შუაბაზრის ერთს ღვინის სარდაფში, კვირა საღამოს ქორწილში ყოფილა დაპატიჟებული მეჯვარედ, წასულა ქორწილში და ასეთი უბედურება-კი შემთხვევია. გვარი მოკლულისა ვერ გავიგეთ. სახელად გიგოლა რქმევია და გორიდამა ყოფილა ჩამოსული ქალაქში.

*** მკითხველებს ეხსომებათ, რომ შარშან, 10 ნოემბერს, დაარსდა კავკავში ქართული სკოლა იქაურ ქართველ ყმაწვილებისათვის. ამ სკოლაში სწავლობს ამ ჟამად 29 ყმაწვილი, სკოლის სასარგებლოდ კავკავსა და კავკავ გარეშე ამ სკოლის დამაარსებელთ შეუგროვებიათ 2716 მანათზე მეტი და ამ წლის იანვრამდე სკოლაზე დაუხარჯავთ მხოლოდ 935 მან. ამ სკოლისათვის ჩვენს „წერა-კითხვის საზოგადოებასაც“ შეუწირავს 225 მან., მიუღია იგი სკოლა თავისს გამგეობაში და მასწავლებელიც მასვე დაუნიშნავს.

*** 6 ამ თვისას, მეათე განყოფილებაში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, რკინის გზის ობერ-კონდუქტორის კონსტანტინე მდივანის სადგურიდგან ვიღაცებს მოუპარავთ სხვა-და-სხვა ნივთი, სულ ასის მანეთისა. ეს ნივთები პოლიციამ უკვე იპოვა.

*** იმავე დღეს, სომხის სასაფლაოს ქვემოდ, მაკაროვის მამულში, იპოვეს ვიღაცა მოკლულის კაცის გვამი. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ეს მოკლული კაცი ქ. გორის მცხოვრები მენახშირე გაბო აბოვიანცია. გვამი გაგზავნეს საანატომიო დარბაზში. გამოძიება სწარმოებს. მკვლელებს დაეძებენ.

◆◆

## ანგარიში

### თელავის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობისა.

1 იანვარს 1888 წ. ამხანაგობას ჰქონდა:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| წილის ფული . . . . . | 4330 | 64 |
| სასარგებლოდ შემოტანილი . | 766 | 71 |
| სათადარიგო თანხა . . . . | 77 | 17 |
| წმინდა მოგება . . . . . | 94 | 74 |
| სულ . . | 5269 | 74 |

ველთ მოდგმისანი, ივერიასავით კეთილ-განწყობილი არა ყოფილა. სტრაბონი, რომლის დედის ბიძა იჯდა ტეტრარხად (ერისთავად) ლაზიკაში, ამბობს, რომ ივერიაში მკვიდრნი ოთხ წოდებად იყვნენ განაწილებულნიო. პირველს წოდებას—უმაღლესს ეკუთვნიან იგინი, რომელთაგანაც ყველაზე უფროსს გვარში და თემში ირჩევენ მეფედ და იმის მომდევნოს წლოვანობით მსაჯულთ-უხუცესად და მხედართ-მთავრადაო. მეორე წოდებას შეადგენდნენ ქურუმნი, მათ ხელშია აგრეთვე სამართალი; მესამე წოდებას შეადგენდნენ მხედარნი და მიწის მუშაკნი და მეოთხეს—ერი და სამეუფო ყმანი და ყველა ხელის მოსამსახურენიო. მეხუთე საუკ. ქრ შ. სომეხთ ისტორიკოსი მოსე ქორენელი აწერს საქართველოს საპოლიტიკო იერარქიას და ამბობს, რომ აქ მეფის მოხელეთ ერქვათ „სეფე-წულნიო“ და სხ.

ამ სახით, მთავრობა და მეფობა საქართველოში უეჭველი ფაქტია. უცხოელთ გარდა ჩვენს მეფობას შეეხებიან საქართველოშივე დაშთენილნი უტყუარნი ძეგლნი. მაგ., ფული. ეს ფული დღეს უკვე გამოკვლეულია და დაწვრილებით აღწერილი. სხვათა შორის ქართული ფული ზედ მიწევნით აღწერა ბარათაევმა თავისს წიგნში „Нумизм. факт. груз. царств“. პირველი ფული, ჩვენამდე დაშთენილი, ეკუთვნის მეფე ვახტანგ გორგასლანს (446—499), შემდეგი — ადარნასეს (634 — 663), ჯუანშერს (718—786), ბაგრატებს, დავითს, გიორგის, თამარ დედოფალს და სხ. თამარის ფულზედ აწერია:

„დედოფალი მაღალ-ხარისხოვანი,
დიდება სოფლისა და სარწმუნოებისა;
თამარ, ასული გიორგისა.
შემდეგი მესსიისა,
ღმერთმან ადიდოს ძლევანი მისნი“.

გაერთიანებულის საქართველოს მეფენი იყვნენ ფრიად ძლიერნი. ეს სიძლიერე შეიქმნა მიზეზად, რომ მეფენი ამ გვარ თავ მოწონების წარწერით ამკობდნენ თავის მიერ მოჭრილ ფულსა.

სომხის თანამედროვე მწერალი ასოლიკი დავით კურაპალატზე (980—1008) ამბობს, რომ „სიტკბოებით და მშვიდობის მოყვარეობით დავითი აღემატებოდა ყოველთა ხელმწიფეთა, რომელნიც-კი ჩვენ დროს სცხოვრებდნენო; დავითი იყო მიზეზი ყოვლის აღმოსავლეთის მშვიდობისა და კეთილ-წესიერებისა და განსაკუთრებით კი სომხეთისა, ივერიისა... მან სძლია ყველა უცხო ტომებს, ასე რომ ყველა ხელმწიფენი თავის ნება-ყოფლობით ემორჩილებოდნენო“.

იგივე ასოლიკი დავით აღმაშენებელზე მოგვითხრობს, რომ განძაგის ემირი გაზი 30,000 კაცით შემოესია საქართველოს, მაგრამ დავითმა ეს ჯარი სრულიად გასწყვიტაო. იგივე სომეხთ მწერალი ამავე მეფეზედ ამბობს.

> შეკრბა ყოვლის მხრის თურქობა და შემოესია საქართველოს ტფილისის მხრიდამ. მტრის ჯარი იყო 560,000 (?) კაცი. დავითი დაუხვდა 60,000 კაცით. იყო 15 აგვისტო და მტრები შეიბნენ. მოხდა ომი საზარელი და სასტიკი, ასე რომ მთანი ინძრეოდნენ. მტერი იძლია. ნაომარზე დარჩა 400,000 (?) დახოცილი მტერთაგან და 30,000 დატყვევებულ იქმნა. დანარჩენი ჯარი გაიქცა და ქართველებმა, „განთქმულთა თვისის სივაჟკაცით“, სდიეს იმათ ვიდრე ქალაქ ანის საზღვრამდე.

ამავე ბრძოლას აღწერს გოთიე და მტრის ჯარს აღრიცხავს 600,000 (?) კაცად. ქართველთა, სომეხთა და ბერძენთ მწერალნი ერთნაირად მოგვითხრობენ, თუ როგორ ქართველთა მხედრობამ იხსნა კონსტანტინოპოლი სკლიაროსისაგან და სხვა-და-სხვა.

ესეთი გახლდათ საქართველოს მდგომარეობა მე-X—XII საუკუნოებში. შემდეგ-კი ულმობელმა ისტორიულმა გარემოებამ შეასუსტა ქართველი ერი. ეს შესუსტება დაიწყო მსოფლიო ღელვათა შემდეგ, მე-XIII საუკუნის ნახევრიდამ, როდესაც მონგოლთა უთვალავი მხედრობა, სამად გაყოფილი და ქვეყნის სამის მხრისკენ გალაშქრებული, რისხვითა და წარღვნით ერთსა და იმავე დროს ზარს სცემდა ჩრდილოეთს, დასავლეთსა და სამხრეთს. აღმოსავლეთი ხომ წინათვე ჰქონდა შელახული. დასავლეთისკენ მიმართულ მოზღვავებულ ლაშქრის სიმწარე-რისხვა პირველად გამოსცადეს ქართველებმა, თუმცა რიცხვით მცირემ, მაგრამ ომ-ბრძოლაში „ვითა ლომმა“. დამარცხებულს ქართველებს გამარჯვებულმა მტერმა დიდი ფასი დასდო მამულისათვის ვაჟკაცურად თავ-დადებისა და უშიშარ მეომრობისათვის. ამიტომაც ქართველს მხედრობასა და მეფეებს უმეტესი და უაღრესი პატივი ჰქონდათ მონგოლთა ხაყანების წინაშე, ვიდრე სხვა ერის მეფეებს. მონგოლების შემდეგაც ქართველობა იყო განუწყვეტელს ბრძოლაში ერთის მხრით სპარსთა და მეორეს მხრით ოსმალთა წინაალმდეგ. საქართველო უმეტესად შესუსტდა მაშინ, როდესაც სპარს-ოსმალთ შორის ასტყდა მუდმივი ბრძოლა და ცილობა დასაკუთრებისათვის ჩვენის ქვეყნისა. მტერნი ებრძოდნენ ერთმანეთს შიგ საქართველოშივე, ხშირად ქართველთაც იშველიებდნენ მტრის დასამარცხებლად და შემდეგ გამარჯვებისა, თავისუფლების მინიჭების მაგიერ, ომს აუტეხდნენ თითონ ქართველთავე და სცდილობდნენ აღმოეფხვრათ თესლი ქართველთა, იმათი ენა და სარწმუნოება. ამ საქმეში მტრებს ხელს უწყობდნენ დანარჩენნი კავკასიელნიც, რომელთაც ქართველნი ყურადღებას არ აქცევდნენ, რადგანაც უძლიერეს მტერთან ომების გამო ამათთვის ველარ იცლიდნენ. ამასობაში კავკასიელნი ნელ-ნელა გაძლიერდნენ, შეიგნეს სიტკბოება თავისუფლებისა, შეჯგუფდნენ, შემოიფარგლნენ და სპარს-ოსმალთ წაქეზებით დაუწყეს ბრძოლა ქართველთა, ამ ერთად-ერთს აზიის საქრისტიანო სახელმწიფოს. ქართველმა იხმარა ყოველი თავისი ნიჭი, ყოველი თვისი ძალ-ღონე, რათა გაეძლო და გადარჩენილიყო განსაცდელისაგან. შველას აღარსაიდამ მოელოდა. სომხეთი განადგურებული იყო. მცირე-აზიის სახელმწიფოები უკვე მიწასთან გაესწორებინათ, რომის სიძლიერე შეელახნათ ჩრდილოეთის ველურებს და ბიზანტია დაემხოთ ოსმალთ. ამ მდგომარეობაში იყო მაშინდელი საქრისტიანო სახელმწიფოები და ქვეყნები. მაგიერად ჩვენს გარეშემო გაძლიერდა მაჰმადიანობა. იგი, გამოდევნილი ევროპიიდგან, თითქო ჯავრს ჰყრილობდა აზიის ქრისტიანებსა და უმეტესად-კი ქართველებზე. სამაჰმადიანო დროშა, აღმართული ბიზანტიის იმპერიასა, მცირე და დიდს აზიასა, სომხეთსა, პონტ-ფანაგორიასა (ყირიმის კუნძული, საცა დაწესდა სულთნობა) და კავკასიის მთიულებში, გამწარებულად ებრძოდა ერთ მუჭა ქართველს ერს და ყოველ დღე შიშ ქვეშა ჰყავნდა. საშინელი ყოფაა ეს ყოფა. შეიძლება გვიკიჟინონ, რომ, ვსთქვათ, მაშინდელმა დრომ ჩვენში დაბადა არა ერთნი და ორნი გმირნიო, მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც ვიტყვით, რომ თავის დადება მამულისა, ქვეყნისა და სარწმუნოებისთვის, ბრძოლა მტრებთან არ შეწყვეტილა მე-XIII—XVIII საუკუნის დასასრულამდე. აქ ვხედავთ იმის მაგალითებსაც, თუ როგორ ჩვენნი დედანიც სწირავდნენ თავს ქვეყნისათვის, თუ როგორ იბრძოდნენ ქმარ-შვილთან ერთად მტრის წინაალმდეგ. $^{3}/_{4}$-დი ქართველ მოწამეთა რჯულისა და სამშობლოსთვის ეკუთვნის არა წარსულს ათს საუკუნეს (IV—XIII), არამედ მის მომდევნო ხუთს საუკუნეს (XIV—XVIII).

ამ საშინელს ყოფას გაუძლო ქართველობამ და მოაღწია მე-XIX საუკუნის დასაწყისამდე. ამ მოვლენის მიზეზი იყო შინაური კულტურული ძალა, შინაური განწყობილება. და შინაური მომართულობა და განწყობილება ხომ აშკარა ნიშანია ერის კულტურისა. ამ კულტურულ ნიშნების შესახებ მოვიყვანთ ქვემოთ.

ესომ

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| აქედგან: ვალად ამხანაგებზე | 5184 | „ |
| ნაღდი ფული | 85 | 26 |

### 1888 წელს

შემოსავალი იყო:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| წილის ფული | 1184 | 37 |
| სარგებელი | 610 | 2 |
| ჯარიმა | 181 | 22 |
| დაბრუნებული სესხი | 8178 | 56 |
| სასარგებლოდ შემოტანილი ფული | 2044 | „ |
| სათადარიგო თანხა | 8 | 33 |
| სხვა-და-სხვა შემოსავალი | 46 | 47 |
| სულ | 12252 | 97 |

გასავალი 1888 წლისა:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| წილის ფული | 1574 | 49 |
| სარგებელი მიცემული წილზე | 14 | 46 |
| ვალად ამხანაგებზე | 8619 | „ |
| სარგებელი ვადაზე წინ გადახდილს ვალზე | 5 | 35 |
| სასარგებლოდ შემოტანილი ფული | 1517 | „ |
| სარგებელი სასარგებლოდ შემოტანილს ფულზე | 47 | 47 |
| ჯამაგირი კასსირს | 240 | „ |
| ჯამაგირი მსახურს | 36 | „ |
| სახლის ქირა | 120 | „ |
| შეშა და ნავთი | 47 | „ |
| ქაღალდი, კალამი, მელანი | 4 | 49 |
| ალებ-მიცემობის წიგნები და ბლანკები | 6 | „ |
| მოწმობა | 18 | „ |
| წასვლა-მოსვლა | 16 | 47 |
| სხვა-და-სხვა გასავალი | 12 | 7 |
| ალებ-მიცემობისა | 57 | 87 |
| სულ | 12335 | 67 |

1 იანვარს 1889 წ. ამხანაგობას ჰქონდა:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| წილის ფული | 3940 | 52 |
| სასარგებლოდ შემოტანილი | 1293 | 71 |
| სათადარიგო თანხა | 55 | 50 |
| წმინდა მოგება | 307 | 27 |
| სულ | 5627 | „ |

აქედგან ამხანაგებზე გასესხებულია 5624 მ. 44 კ. და ნაღდი ფული 2 მ. 56 კ.

22 იანვარს 1889 წ. საზოგადო კრებამ დაადგინა: გადაიდოს სათადარიგო თანხად 30 მ. 70 კ., „გაეგზავნოს კომიტეტის განყოფილებას 3 მ.“ გადაიდოს ამხანაგობის წესდების ქართულად დაბეჭდვისათვის 35 მ., დანარჩენი 238 მ. 57 კ. განაწილდეს წილის ფულზე. „კასსირს მიეცეს თვეში 25 მან.,“ მოსამსახურეს—4 მ.

საზოგადო კრებამ მმართველობას მისცა ნება ისესხოს სახელმწიფო ბანკიდგან 4000 მ. ამხანაგობის ალებ-მიცემობის გასაძლიერებლად.

1888 წ. „ამხანაგობაში“ წევრად შემოვიდა 43 კაცი; ამ წელს სულ იყო 124 წევრი.

გამგეობის წევრნი: { თავ. თ. რუსიევი, ალ. ზ. ბარნოვი

---

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო მინაწერები დავით გარესჯის უდაბნოს ტყავზედ ნაწერის ხელ-ნაწერებისა.

(შემდეგი*)

№ 33. „სტოდიერი“ 228 გვ. in f.

1, „იესო ქრისტე, მეუფეო დიდებისაო და წმინდაო ღუთის მშობელო მარადის ქალწულო მარიამ, სოფელს აცოცხლე და ადღეგრძელე ბიეთის მოძღვარი ბასილი, რომლისა ბრძანებითა და საფასით აღიწერა წმიდა ესე და სულთა განმანათლებელი სტოდიერი. საუკუნომცა არც სახსენებელი და კურთხევა მისი, ხოლო სული მისი სამთხვემცა მკვიდრიყოს უკუნითი უკუნასამდე ამინ“.

2, „პაატა“ ჩუკ—1520 წ.

№ 47. „სტოდიერი“ 4756 გვ. in 8. ბოლო ტყავზედ ნაწერი აღაპებით.

იხ. 432 გვ. „ლოცვა ყავთ წმიდანო მამანო გიორგისთვის დეკანოზისა მთაწმიდელისა, ვისაცა მოიწინენ სწავლანი ესე სულთა განმანათლებელნი ნეტარისა მამისა თეოდორე აღმსარებელისა სტუდელთა მამასახლისისა თქმულნი. დიდითა გულსმოდგინებითა და ფრიადითა ხარკებითა და მადლითა მამისა ეფთვმესითა ვთარგმანე წმიდა ესე წიგნი ახლად მე გლახაკმან გიორგი მთაწმიდას ქართველთა მონასტერსა. შრომისათვს ლოცვა ყავთ წმიდანო მამანო, ხოლო ითარგმანა მიქაელის მეფობასა და დაინუსხა სუკუდილსა მისსა, ქორონიკონსა სჲბ (1042 წ)“. „წმიდანო ღუთისანო, მე გლახაკმან და ფრიად ცოდვილმან მიქაელ გურგენის ძემან დავჩხრიკენ წმინდა ესე სულთა განმანათლებელი სტუდიელი სალოცავად სულისა ჩემისა და მშობელთა ჩემთა სანახებსა წმიდისა იერუსალიმსასა, მონასტერსა ჯვარისასა, სახელსა ზედა წმიდისა მთავარ-მოწამისა გიორგისსა ვაჭანის ქჳაბთასა. წმიდაო გიორგი, მიაწიე წერილი მჭერლითურთ! უცბად ჩხრეკისათვის შემინდევით, უსწავლელი ვიყავ“. შემდეგ: „წმიდაო გიორგი შემიწყალე სულითა მოსავი შენი მიქელ“.

236 გვ. „ძეგლის წერა, რომელი აღწერეს წმიდათა მამათა კონსტანტინეპოლს შეკრებულთა სარწმუნოებისა წმიდათა ხატთა თაყვანის ცემისათვის, რომელი ესე წარიკითხვს სოფია წმიდასა, ა. კვირიაკესა წმიდათა მარხვათასა“... ჩამოთვლილნი არიან ვიზანტიის იმპერატორნი, მართლ-მორწმუნენი და მღვდელთ-მოძღვარნი საბერძნეთის ეკკლესიისანი... ბოლოს: „მერმანოს, ტარასეს და ნიკიფორეს და მეთოდის ჭეშმარიტთა მათ მღვდელ-მოძღვართა ღუთისათა“...

„ეფთვმეს თეოფილაქტეს და ემილიანეს სანატრელთა მათ მღვდელ-მოძღვართა საუკუნომცა არს სახსენებელი მათი“...

„იოანე ნიკოლაოზ და გიორგი...

იოანე ასტუდელ მამასახლისისა...

ისააკ საკვირველთ-მოქმედისა და იოვანიკესი...

ილარიონ ნეტარისა, არქიმანდრიტისა დალმატის მონასტრისა...

სვიმეონ მესვეტისა და სტეფანე საკვირველთ-მოქმედისა...

ეფთვმე წმიდისა მამისა, ახლისა ოქროპირისა ქართველთა განმანათლებელისა და ილარიონ ქართველისა ნეტარისა...

ნეტარისა მამისა ჩვენისა გიორგი ქართველისა...

მიქელ მეფისა და თეოდორა დედოფლისა...

ბასილისი, ლეონისი, ალექსანდრესი, რომანოზისა, კონსტანტინესი, ნიკიფორესი, იოანესი მართლ-მადიდებელთა მეფეთა...

ბასილი და კოსტანტინე მართლ-მადიდებელთა მეფეთა...

რომანოზ მეფისა...

ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფისა...

გიორგი მართლ-მადიდებელისა მეფისა...

დიმიტრი ღუთის მსახურისა მეფისა ჩვენისა, მრავალმც არიან წელნი ცხოვრებისა მათისანი...

იოანე ქართველთა პატრიარქისა, ღმერთ-შემოსილისა მის კაცისა“...

ტყავის სამოციქულოზედ: „სულსა იოანე მთავარ ეპისკოპოზისასა განუსვენოს და შეუნდვნეს ღმერთმან“.

მღვ. პ. კარბელაშვილი

(დასასრული იქნება)

*) იხ. „ივერია“ №№ 26, 28.

---

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** ჩვენ ავსტრი-ვენგრიის ამბებში ვიყავით გართული და საფრანგეთისაკენ-კი აღარ მიგვეხედნია მაშინ, როცა ამ დროს განმავლობაში იქ მეტად საყურადღებო ამბები მოხდა. მეტი საყურადღებო ამბავი რაღა იქნება იმაზე, რომ პალატამ დასცა ფლოკეს სამინისტრო, ეს რესპუბლიკელობის ტინი და სიმტკიცე და დღეს ეძებენ კაცს, რომ შეადგინოს ახალი სამინისტრო, მაგრამ ვერ უპოვიათ აქამომდე. ფლოკეს სამინისტროს დამარცხების საქმე ასე იყო: ფლოკემ 15 იანერის არჩევნების შემდეგ, როცა ბულანჟემ გაიმარჯვა და ისე საშინლად დაამარცხა რესპუბლიკელების კანდიდატი ჟაკი, წარუდგინა პალატას ორი პროექტი: ერთი არჩევნების წესის შეცვლისა და მეორე—კონსტიტუციის გადასინჯვისა. პირველის პროექტის გარჩევა პალატამ შეიწყნარა და ხომ მიიღო კიდეც სამოციოდე ხმის უმეტესობით. მეორე პროექტმა-კი დაჰლუპა სამინისტრო. ბევრნი წინადვე შიშობდნენ ამ პროექტის გამო და ურჩევდნენ ფლოკეს, მაგ პროექტს თავი დაანებოთ, ეგ ბულანჟელების აზრია, იმათ გაუხარდებაო, მაგრამ ფლოკე ვერ შეითოკეს. თქვენაო,—ეუბნებოდნენ,—და მთელი თქვენი პალატა დღევანდელმა წესმა არჩევანებისამ გშვათ და დაგბადათ. ახლა-კი ამბობთ, რომ ეგ წესი არჩევანებისა არ ვარგაო. მაშ რაკი დაიწუნეთ და უვარგისად მიიჩნიეთ ის წესი, რომლის შვილნიც თქვენა ხართ, მეტი არა დაგრჩენიათ-რა, უნდა დაიშალნეთ, აიკიდოთ გუდა-ნაბადი და მოჰშორდეთ პარლამენტსაო. ფლოკე ამაზე ამბობდა პასუხად: არა, ეხლანდელი პალატა ბიუჯეტსაც გაარჩევს, მსოფლიო გამოფენასაც ჰნახავს, აუხსნის და დააჯერებს უცხოეთიდამ მოსულებს, რა წარმატება გამოუჩენია ჩვენის მტრებისაგან ყბად-აღებულის რესპუბლიკის დროს ჩვენს ვაჭრობას, მრეწველობას, ხელოვნებას და მერე დაიშლება თავისით, რადგან შემოდგომის საზოგადო არჩევანების დროც დადგებაო. ერთი ჰნახონ უცხოელებმა, რა მდიდარია და წარმატებული ის ქვეყანა, რომელიც იმათ გაღარიბებული და გალატაკებული ჰგონიათო, ამბობდა აღტაცებით ფლოკე პალატაში: ჰნახონ თვალით ჩვენი წარმატება, დარწმუნდნენ, რომ 38 მილიონით აჯობა წელს შემოსავალმა გასავალს და მერე ეგონებ ჩვენც აღარ დავწამებთ ერთმანეთს ცილსაო. ეხლა-კი ვთხოვ ჩემს თანამოაზრეთა და მომხრეთ, რომელთა შორისაც მეც ვიქნები, როცა მინისტრად აღარ მინდომებს პალატა, შეიწყნაროს ეს კანონ-პროექტი ისე, როგორც წარმომიდგენია. თუ ჩემი მეგობრები არ შეიწყნარებენ ასეთს საქმეს, არ დამითმობენ არაფერს, უნდა ვიგულისხმო მაშინ, რომ ნდობა დამიკარგავს მათი და, მაშასადამე, სხვა სახელმწიფო საქმეებსაც ხელმძღვანელობას ვეღარ გავუწევო.

ფლოკემ წინდაწინვე იგრძნო, რომ მის ფეხ-ქვეშ ნიადაგი ირყეოდა. კონსტიტუციის გადასინჯვის კანონ-პროექტს მისცეს შავი კენჭი თითქმის ყველა იმ რესპუბლიკელებმა, რომელთაც ბულანჟე ეჯავრებათ, შავი კენჭი მისცეს აგრეთვე იმათაც, ვინც საზოგადოდ წინააღმდეგნი არიან კონსტიტუციის გადასინჯვისა, როგორც, მაგალითად, ოპურტუნისტები. ამათ მიემხრნენ სამინისტროს მოწინააღმდეგენიც და ამ სახით შესდგა უმრავლესობა, რომელმაც დასცა ფლოკეს სამინისტრო.

**ავსტრი-ვენგრია.** ადვოკატი ტაკაჩი მიუძღოდა წინ სტუდენტებს, რომელნიც ჰყვიროდნენ: არ გვინდა ტისა, გადადგეს სამსახურიდგანაო. ამბობენ, ვითომ ტაკაჩმა სიტყვა წარმოსთქვა ერის წინაშე და ამკიცებდა, რომ ჩვენი მინისტრები ჩამოსარჩობნი არიანო. ყველა ამისათვის ტაკაჩი შეიპყრეს, მაგრამ ისე შეიპყრეს, რომ ამაზე სასამართლოს გამოძიება არა ყოფილა-რა. ამის გამო ერთი მთავრობის მოწინააღმდეგე დეპუტატი პოლიო მივიდა პოლიციის უფროსთან და ცხარედ დაუწყო კიცხვა, უკანონოდ მოიქეცითო. ხალხიც საშინლად აღელდა ტაკაჩის დაპატიმრების გამო. პოლიცია იძულებული იყო დილით დაპატიმრებული ტაკაჩი საღამოს ისევ გაეთავისუფლებინა.

— ტისას მდგომარეობა ამ ჟამად ძალიან გაჭირებულია. მე-14 პარაგრაფის შესახებ-კი დაითანხმა იმპერატორი და შეაცვლევინა ისე, როგორც ვენგრიელები ითხოვენ, მაგრამ მე-25 მუხლის გამო-კი ვერა მოუხერხებია-რა. აბა ძნელი როგორ არ უნდა იყოს მდგომარეობა იმ კაცისა, რომელსაც ჰლანძღავენ თანამემამულენი, ჩვენი სიკეთე არ გინდაო; ის-კი არა, თუ თავად უფრო დიდი მოსურნეა თავის ქვეყნის კეთილ-დღეობისა, მაგრამ, როგორც მთავრობის წარმომადგენელს, როგორც მინისტრს ვერა გაურიგებია-რა კია!

---

# წვრილი ამბები

ამ უკანასკნელს ათს წელიწადში ევროპის სამეფო გვარეულობის ბევრს წევრს ეწვია სიკვდილი. 1879 წ. 27 მარტს გარდაიცვალა 11 წლის პრინცი ვალდემარ პრუსიისა, 1 ივნისს—პრინცი ლუი ნაპოლეონი, იმედი საფრანგეთის იმპერიალისტებისა, რომელიც აფრიკაში დაიღუპა ზულუსებთან ომის დროს. 1881 წ. 1 მარტს გარდაიცვალა იმპერატორი ალექსანდრე II. 1883 წ. 15 აპრილს გარდაიცვალა დიდი ჰერცოგი ფრიდრიხ-ფრანც II მეკლენბურგ-შვერინისა. 23 მარტს 1884 წ. გარდაიცვალა შვილი ინგლისის დედოფალ ვიქტორიასი, ლეოპოლდი, ჰერცოგი ალბანიისა. 1885 წელმა ხუთი ადამიანი იმსხვერპლა: 2 ივნისს გარდაიცვალა პრინცი კარლ-ანტონ ჰოჰენცოლერნი, 15 ივლისს—პრინცი ფრიდრიხ-კარლი პრუსიისა, 18 ოქტომბერს—ჰერცოგი ვილჰელმ ბრაუნშვეიგისა, 25 ნოემბერს—ისპანიის მეფე ალფონს XII, 27 დეკემბერს—პორტუგალიის მეფე ფერდინანდი. 13 ივნისს 1886 წლისას გარდაიცვალა ლიუდვიგ II ბავარიისა. 1888 წელი მეტად მწუხარე წელიწადი იყო ჰოჰენცოლერნების გვარეულობისათვის: 23 თებერვალს უეცრად გარდაიცვალა ლიუდვიგი ბადენისა, 9 მარტს—იმპერატორი ვილჰელმი, 15 ივნისს—იმპერატორი ფრიდრიხ III. ამ თხუთმეტში, ეხლა-ხან გარდაცვალებული რუდოლფიც რომ ჩავსთვალოთ, 11 ბუნებრის სიკვდილით გარდაიცვალა, 2 ძალმომრეობით და ძალ-დატანებით და ორმაც თითონვე მოიკლა თავი.

— ლონდონში დაიწყეს გამოცემა გაზეთ „New-York-Herald“-ისა. ამ გაზეთში გამოცხადებულია, რომ კვირაობითაც გამოვა ხოლმეო. ამ განცხადებამ ფეხზე დააყენა ინგლისელნი. გაზეთებმა უსიამოვნებო განაცხადეს, რომ რატომ კვირას არა უქმობს ზემოხსენებული გაზეთი წვეულებისამებრო. კვირაობით გაზეთის ბეჭდვის წინააღმდეგთა შორის ხელი უწერიათ: კარდინალს მანნინგს, არხიეპისკოპოსს კენტერბერიისას, ეპისკოპოსთ ლონდონისას, მანჩესტერისას და მედფორდისას, ჰერცოგს არგაილისას და სხვათა.

— ბრესლავლის პროკურორს მოუწადინებია ბოკაჩიოს „დეკამერონის“ აღკრძალვა და სამართალში მიეცა ამ წიგნის გამომცემელი და გამყიდველი, მაგრამ სასამართლოს ორივე გაუმართლებია.

— მადრიდში ამას წინად შემდეგი საშინელი ამბავი მომხდარა: ერთს საეჭვო სახლს წინ დიდხანს დაუწყია აქეთ-იქით ბოლთის ცემა ერთს რიგიანად ჩაცმულს დედაკაცს. შუა-ღამისას სახლიდგან გამოსულა ერთი ყმაწვილი კაცი და პირ-ბადე აფარებული ქალი. დაუნახავს თუ არა ესენი გარეთ მდგომს დედაკაცს, დაუწყია იმათი კიცხვა-გინება ამ სანახავზე ხალხს თავი მოუყრია. პირ-ბადე აფარებულს ქალს გაქცევა სდომებია, მაგრამ ყმაწვილს ქალს (კაცის საცოლეს) პირ-ბადე აუგლეჯია, სილა შემოუკრავს, მაგრამ თითონაც იქვე გულ-შემოყრილი დაცემულა: პირ-ბადე და სილა-გარტყმული დედაკაცი გარეთ მდგომისა... დედა ყოფილა. ყმაწვილი კაცი სამქროდ გაქცეულა.

— ვენგრიის ერთს ქალაქში ამას წინად ამერიკულის მსგავსი დუელი მომხდარა. ორს ნოქარს ერთის დუქნისას ლაპარაკი მოსვლიათ, სეკუნდანტები აურჩევიათ და წასულან დანიშნულს ადგილს. სეკუნდანტებს თან მოუტანიათ ორი ბურთი—შავი და თეთრი. მოპირისპირეთ ეს ბურთები ურიათ და ვისაც შავი ჰრგებია, სეკუნდანტებს გამოუცხადებიათ იმისთვის, რომ სამის თვეის განმავლობაში ღვინის სმა აღკრძალული უნდა ჰქონდესო. მოპირისპირენი ამ გარდაწყვეტილებით დაკმაყოფილებულან და მშვიდობიანად განშორებიან ერთმანეთს.

---

# დეპეშა

7 თებერვალი

**პეტერბურგი.** სამხედრო ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე მიხაუსი და გადაუწყვიტა ტომსკის გუბერნიაში გაგზავნა საცხოვრებლად. მიხაუს ჰბრალდებოდა პენსიებისა და სხვა ფულის გატანა ხაზინიდგან მოტყუებით.

**პარიჟი.** გრევი უფრო ავად გახდა. ტონკინიდგან ცუდი ამბები ისმის

**სტამბოლი.** სულთანისა და შეიხ-ულ-ისლამის წინააღმდეგ ბროშიურა დაბეჭდეს და ქუჩებში აფიშები გააკრეს. ამიტომ მთავრობამ 23 სოფთი შეიპყრა და გაჰგზავნა ოსმალოს შუა-

გულს მაზრებში. ბევრი სხვა სოფთიც არის შეპყრობილი. ამათაც მალე გაჰგზავნიან. სოფთების მოძრაობამ დიდად შეაწუხა სულთანი, რომელმაც ამ ჟამად თავი დაანება სახელმწიფო საქმეებს.

### პეტერბურგის ბირჟა, 7 თებერ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 45 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 149³/₄ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 13 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 269¹/₂ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 252¹/₂ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩუპთ (1889) წელიწადი. ქვეყნის შექმნიდამ 7397.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადებია—6.

თებერვალი 28 დღით არის.

9 დღე ხუთშაბათი. წმიდისა მოწამისა ნიკიფორესი. სომეხ. წმ. 12-თა მოციქულთა. კათოლ. წმ. აპოლონისა. მაჰმად. მე-21 რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 6—47, ჩადის 5—40. მთვარე 22 დღისაა.

10 დღე პარასკევი. წმ. მოწ. ხარლამპისა. კათოლ. ირინესი. სომეხ. მარხვაა. მაჰმად. მე-22 რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 6—46, ჩადის 5—42. მთვარე 23 დღისაა.

11 დღე შაბათი. წმ. მღვდელ-მოწამისა ვლასისა. კათოლ. წმ. ლიუცინასი. სომეხ. წმ. სააკისა. მაჰმად. მე-23 რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 6—44, ჩადის 5—43. მთვარე 24 დღისაა.

12 დღე კვირა. ხორცით ალება. წმიდათა შორის მელეტი დიდისა, ანტიოხიის მთავარ-ეპისკოპოზისა. კათოლ. წმ. პეტრესი. მაჰმად. მე-24 რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.— ქუთაისში დაარსებულ იქმნა გიმნაზია, 1850 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 6—43, ჩადის 5—45. მთვარე 25 დღისაა.

13 დღე ორშაბათი. ღირსისა მამისა ჩვენისა მარტიანესი. კათოლ. წმ. იორდანესი. სომეხ. წმ. მოც. ღევონდიციანთა. მაჰმად. მე-25 რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 6—41, ჩადის 5—46. მთვარე 29 დღისაა.

### გამოსადეგი ცნობანი

#### ნიხრი

1 თებერვლიდამ 1 მარტამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. . | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. . | 3¹/₂ | » |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3¹/₂ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში 1-ლის ხარისხისა . . | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | „ |
| მე-3 — . . . | | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 9 | „ |
| „ 2 „ | 8 | „ |
| სუკი . . . . | 16 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 10 | „ |
| ღორის ხორცი . . . | 10 | „ |
| „ 2 „ | 9 | „ |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით.

ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე-კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი


ისყიდება

თესლეული

ე. იმმერისა

და იმისის

შვილის

სავაჭრო სახლში.

ამ სავაჭრო სახლიდგან ეზიდებიან თესლეულობას მათის იმპერატორებითის უმაღლესობის კარისათვისაც.

ადრესი: მოსკოვს, მიასნიცკი ქუჩაზედ, ობოლინის სახლში.

მსურველს გაეგზავნება დიდ-ძალ სურათებიანი კატალოგი თესლეულობისა: ბოსტნეულობისა, მინდვრისა, ვარდისა და ყვავილისა, თუ გამოჰგზავნის 35 კაპ. ფოსტის მარკებით.

(15—10)

გამოვიდა და ისყიდება

ახალი ქართული წიგნი

## მამიდა ასმათი

მოთხრობა

გ. წერეთლისა.

გამოცემული „ივერიის“ რედაქციის მიერ.

ფასი 20 კ.

წიგნი ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საწყობში, ბანკის ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე.

## სიჭაბუკის ცოდვა

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეპციგს—Otto Asperger Leipzig (საკსონიას). უცხო ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს არ იხდიან.

(52—1)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. წუთათელაძესაგან . . . . . . . | „ | 40 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი . . . . . . . | „ | 45 |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა . | „ | 40 |
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| დევით ალანიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . . | „ | 10 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . . | „ | 50 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . | „ | 30 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . | 3 | „ |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებელისა (რუსულს ენაზე) . . . . . | 3 | 50 |
| ვაზის ობი . . . . . . . | „ | 10 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა . . . | „ | 30 |
| სიკვდილი მართლისა, პონტოელი პილატეს მეუღლის წერილითავის მეგობარ ქალთან. | „ | 5 |
| ტიბიკონი, რ. სუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | „ | 40 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . . | „ | 15 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . | „ | 20 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . . | „ | 15 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . . | „ | 15 |
| დარიგება, თუ როგორ უნდა მოუარონ დედებმა ძუძუ-მწოვარ ყმაწვილსა, გადმოკეთებული ივ. კაციტაძის მიერ . | „ | 5 |
| სურათები გლეხ-კაცის ცხოვრებიდამ ეკ. გაბაშვილისა . . | „ | 10 |
| სამი კომედია, ა. ცაგარლისა . | „ | 60 |
| თამარ-ცბიერი, ისტორიული ოთხ-მოქმედებიანი დრამატიული პოემა . . . . | „ | 50 |

სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვეით . . . | 10 მ.—კ. | 6 თვეით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 » . . . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 » . . . . . | 4 „ 75 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 » . . . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 » . . . . . | 2 „ 75 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 » . . . . . | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: **Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქცია ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალ იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5.

## ს.-პეტერბურგის საზოგადოება ზღვევისა.

| | |
|---|---|
| ნაღდი ძირის ფული . . . . . | 2 400.000 მან. |
| სათარიგო თანხა . . . . . | 5.000.000 მან. |

საზოგადოების უმთავრესმა სააგენტომ, რომელიც ტფილისში იმყოფება, საზოგადოების გამგეობის ნება რთვით, დააწესა სააგენტოები ს.-პეტერბურგის ზღვევის საზოგადოებისანი გორში (აგენტი კ. ი. გაუსმანი) და ბორჯომში (აგენტი ნ. ს. ჯომარდიძე). ეს აგენტები იღებენ დასაზღვევად როგორც ქონებას (საკუთრივ ცეცხლისაგან დაზღვევას), აგრეთვე თანხასა და შემოსავალსაც.

ბ-ნ აგენტებისაგან შეიძლება უსასყიდლოდ შეძენა წიგნებისა და ყველა სხვა ცნობათა ამ დაზღვევის შესახებთა.

(3—2) უმთავრესი აგენტი ტფილისში ნ. ბ. ხოსროევი.

## დედა-ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ

ისყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და-ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას: Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, №№ 109 და 110.


Доз. ценз. Тифлисъ 8-го Февраля 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე